სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება №01-05-04/65

ქ. თბილისი 12 მარტი 2020

სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ახალ კორონავირუსთან დაკავშირებით, პრევენციულ ღონისძიებათა განხორციელების მიზნით, სასწავლო პროცესის ფორმატის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“, „ახალ კორონავირუსთან დაკავშირებით პრევენციულ ღონისძიებათა განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2020 წლის 27 თებერვლის №296 ბრძანების გათვალისწინებით საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში უნივერსიტეტი) უმაღლესი განათლების ყველა საფეხურის სტუდენტისათვის სასწავლო პროცესი განახლდეს 2020 წლის 16 მარტიდან და წარიმართოს ელექტრონულ ფორმატში, რაც გულისხმობს სტუდენტებისათვის სასწავლო კურსის სილაბუსებით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებას ელექტრონული პლატფორმის მეშვეობით;
2. უნივერსიტეტის ყველა აკადემიურ პერსონალს/მოწვეულ პროფესორებს /მასწავლებლებსა და მოწვეულ მასწავლებლებს, რომლებიც უძღვებიან ან/და

წარმართავენ სასწავლო პროცესს, დაევალოთ სასწავლო კურსის სილაბუსებით გათვალისწინებული სალექციო მასალები (სახელმძღვანელოები, ვიდეოლექციები, პრეზენტაციები, წყაროები და ა.შ.) აკადემიური ჯგუფების მიხედვით ატვირთონ ელექტრონულ პლატფორმაზე elearning.gtu.ge;

3. უნივერსიტეტის ყველა აკადემიურ პერსონალს/მოწვეულ პროფესორებს/ მასწავლებლებსა და მოწვეულ მასწავლებლებს, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალს, რომლებიც უძღვებიან, წარმართავენ ან უზრუნველყოფენ სასწავლო პროცესს, მიეცეთ რეკომენდაცია სასწავლო კურსის სილაბუსებით გათვალისწინებული პრაქტიკული/ლაბორატორიული მეცადინეობები ჩაატარონ სასწავლო პროცესის ჩვეულ რეჟიმში აღდგენის შემდგომ 2019-2020 სასწავლო წლის მეორე სემესტრის განმავლობაში;
4. იმ სტუდენტებს, რომლებიც ობიექტური გარემოების გამო ვერ ჩაერთვებიან ელექტრონული ფორმატის სასწავლო პროცესში, მიეცეთ რეკომენდაცია ინდივიდუალურ საგანმანათლებლო გრაფიკებზე უნივერსიტეტისათვის მომართვის თაობაზე;
5. ამ დადგენილებით გათვალისწინებული ფორმატით სასწავლო პროცესის წარმართვა განხორციელდეს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა სამინისტროს მიერ გაცემული რეკომენდაციების გაუქმებამდე;
6. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს დაევალოს სასწავლო პროცესის ამ დადგენილებით განსაზღვრული წესით განახლების შესახებ ინფორმაციის განთავსება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
7. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე — დავით გურგენიძე

აკადემიური საბჭოს მდივანი — იაშა კუტუბიძე